საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-11/44

04 აპრილი, 2018 წ. ქ. ბათუმი

ბსუ-ს უწყვეტი განათლების ცენტრის ფსიქოლოგიის მიმართულებით პროგრამების გავლის საფასურისგანსაზღვრის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე და 24-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 11 დეკემბრის №02 გადაწყვეტილების, „ბსუ-ს უწყვეტი განათლების ცენტრის საკოორდინაციო საბჭოს დამტკიცების შესახებ" რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 25 დეკემბრის №01-08/58 ბრძანების, ,,ბსუ–ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტისა და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ"ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 5 თებერვლის №6 დადგენილების,ბსუ-ს 2018 წლის ბიუჯეტის, უწყვეტის განათლების ცენტრის ფსიფსიქოლოგიის კოორდინატორის, ასოცირებულ პროფესორის ქეთევან ბერიძის 2018 წლის 2 აპრილის მოხსენებითი ბარათის (№373202)საფუძველზე

ვბრძანებ:

1. ბსუ-ს უწყვეტი განათლების ცენტრის ფსიქოლოგიის მიმართულებით პროგრამების გავლის საფასური განისაზღვროს შემდეგნაირად:

ა) ჯანმრთელობის ფსიქოლოგიის მოკლევადიან პროგრამაზე:

N	პროგრამის და ამ პროგრამის ცალკეული მოდულის მოცულობა კრედიტებში და სააუდიტორიო შეხვედრის რაოდენობა საათებში	საფასური (ლარი)
1	ჯანმრთელობის ფსიქოლოგია- სრული პროგრამა (მოცულობა 90 კრედიტი - 810 საათი)	2 250 ლარი
2	მოდული - ფსიქოდიაგნოსტიკის საფუძვლები(მოცულობა - 5 კრედიტი/შეხვედრა - 45 სთ;	250 ლარი
3	მოდული - ფსიქიკურ ავადმყოფთა რეაბილიტაცია (მოცულობა 5 კრედიტი/ შეხვედრა 45 სთ);	250 ლარი
4	მოდული - კლიენტზე ცენტრირებული ფსიქოთერაპია (მოცულობა 5 კრედიტი/ შეხვედრა 45 სთ);	250 ლარი

5	მოდული - პათოფსიქოლოგია (მოცულობა 5 კრედიტი/ შეხვედრა 45 სთ);	250 ლარი
6	მოდული - ფსიქიატრია(მოცულობა 5 კრედიტი/ შეხვედრა 45 სთ);	250 ლარი
7	მოდული - ფსიქოანალიტური თერაპია (მოცულობა 5 კრედიტი/ შეხვედრა 45 სთ);	250 ლარი
8	მოდული - ნეიროფსიქოლოგია ჯანმრთელობის ფსიქოლოგია -(მოცულობა 5 კრედიტი/ შეხვედრა 45 სთ);	250 ლარი
9	მოდული - სტრესი და ჯანმრთელობა (მოცულობა 5 კრედიტი/ შეხვედრა 45 სთ);	250 ლარი
10	მოდული - ფსიქოლოგიური კონსულტირება (მოცულობა 5 კრედიტი/ შეხვედრა 45 სთ);	250 ლარი
11	მოდული -კოგნიტურ-ბიჰევიორული ფსიქოთერაპია(მოცულობა 5 კრედიტი/ შეხვედრა 45 სთ);	250 ლარი
12	მოდული - მეუღლეთა და საოჯახო ფსიქოთერაპია (მოცულობა 5 კრედიტი/ შეხვედრა 45 სთ);	250 ლარი
13	მოდული - ფსიქიკურ სნეულებათა ეტიოლოგია(მოცულობა 5 კრე შეხვედრა 45 სთ);	250 ლარი
14	მოდული - გამოყენებითი კონფლიქტოლოგია- (მოცულობა 5 კრედიტი/ შეხვედრა 45 სთ);	250 ლარი
15	მოდული - ფსიქოლოგიის საფუძვლები (მოცულობა 5 კრედიტი/ შეხვედრა 45 სთ);	250 ლარი
16	მოდული - სოციალური ფსიქოლოგია - (მოცულობა 5 კრედიტი/ შეხვედრა 45 სთ);	250 ლარი
17	მოდული - ფსიქოთერაპიის საფუძვლები (მოცულობა 5 კრედიტი/ შეხვედრა 45 სთ);	250 ლარი
18	მოდული - პიროვნების ფსიქოლოგია (მოცულობა 5 კრედიტი/ შეხვედრა 45 სთ);	250 ლარი
19	მოდული - ეკლექტიკური თერაპია - (მოცულობა 5 კრედიტი/ შეხვედრა 45 სთ);	250 ლარი

ბ) სკოლამდელი ასაკის ბავშვის განვითარებისა და რეაბილიტაციის მოკლევადიან პროგრამაზე:

N	პროგრამის და ამ პროგრამის ცალკეული მოდულის მოცულობა კრედიტებში და სააუდიტორიო შეხვედრის რაოდენობა საათებში	საფასური (ლარი)

1.	სკოლამდელი ასაკის ბავშვის განვითარებისა და რეაბილიტაციის მოკლევადიანი პროგრამის სრული კურსი(მოცულობა 90 კრედიტი - 810 საათი)	2 250 ლარი
2.	ფსიქოდიაგნოსტიკის საფუძვლები (მოცულობა 5 კრედიტი/ შეხვედრა 45 სთ);	250 ლარი
3.	მეტყველების თერაპია(მოცულობა 5 კრედიტი/ შეხვედრა 45 სთ);	250 ლარი
4.	სკოლამდელ ასაკში ძალადობის იდენტიფიკაცია და პრევენცია (მოცულობა 5 კრედიტი/ შეხვედრა 45 სთ);	250 ლარი
5.	ფსიქოლოგის პრაქტიკული მუშაობა სკოლამდელ დაწესებულებაში(მოცულობა 5 კრედიტი/ შეხვედრა 45 სთ);	250 ლარი
6.	პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური ტრენინგები(მოცულობა 5 კრედიტი/ შეხვედრა 45 სთ);	250 ლარი
7.	სკოლამდელი ასაკის ბავშვის ფსიქოლოგია(მოცულობა 5 კრედიტი/ შეხვედრა 45 სთ);	250 ლარი
8.	ფსიქოლოგიური ტესტირების პრაქტიკული(გეშტალტთერაპია) (მოცულობა 5 კრედიტი/ შეხვედრა 45 სთ);	250 ლარი
9.	ბავშვის ფსიქიკური განვითარების დარღვევები (მოცულობა 5 კრედიტი/ შეხვედრა 45 სთ);	250 ლარი
10.	სტრესი და ჯანმრთელობა(მოცულობა 5 კრედიტი/ შეხვედრა 45 სთ);	250 ლარი
11.	არტთერაპიის პრაქტიკული კურსი სკოლამდელი ასაკის ბავშვის ფსიქოლოგიაში(მოცულობა 5 კრედიტი/ შეხვედრა 45 სთ);	250 ლარი
12.	გამოყენებითი ქცევის ანალიზი(მოცულობა 5 კრედიტი/ შეხვედრა 45 სთ);	250 ლარი
13.	შეზღუდული შესაძლებლობების ბავშვებთან მუშაობის თავისებურებები სკოლამდელ ასაკში(მოცულობა 5 კრედიტი/ შეხვედრა 45 სთ);	250 ლარი
14.	ადრეული ინტერვენციის პროგრამა(მოცულობა 5 კრედიტი/ შეხვედრა 45 სთ);	250 ლარი
15.	პათოფსიქოლოგია(მოცულობა 5 კრედიტი/ შეხვედრა 45 სთ);	250 ლარი
16.	ფსიქოლოგიის საფუძვლები(მოცულობა 5 კრედიტი/ შეხვედრა 45 სთ);	250 ლარი
17.	სოციალური ფსიქოლოგია(მოცულობა 5 კრედიტი/	250 ლარი

	შეხვედრა 45 სთ);	
18.	განვითარების ფსიქოლოგია(მოცულობა 5 კრედიტი/ შეხვედრა 45 სთ);	250 ლარი
19.	ქცევის ბიოლოგიური საფუძვლები(მოცულობა 5 კრედიტი/ შეხვედრა 45 სთ);	250 ლარი

2. ფსიქოლოგიის მიმართულებით მოკლევადიან საგანმანათლებლო პროგრამებზე დარეგისტრირებული მსმენელების (შემდეგში ,,მსმენელები") მიერ სწავლის საფასურის გადახდა განხორციელდეს 4 (ოთხ) ეტაპად, თანაბარწილადი შენატანით, საფასურის პირველი ნაწილი - მსმენელთან ხელშეკრულების დადებისთანავე (სწავლის დაწყებამდე), საფასურის მომდევნო შენატანები განხორციელდეს ამ პროგრამაზე მსმენელების ჩარიცხვის შესახებ ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში. მოკლევადიანი პროგრამის ცალკეული მოდულის არჩევის შემთხვევაში მსმენელის მიერ სწავლის/მომსახურების საფასური გადახდილი იქნეს ხელშეკრულების გაფორმებისთანავე.
3. მოკლევადიან საგანმანათლებლო პროგრამებზე შეიქმნას მსმენელთა ჯგუფები **არანაკლებ 10 და არაუმეტეს 15 მსურველის შემთხვევაში.**
4. მსმენელის მიერ პროგრამით გათვალისწინებული აქტივობის 50% და მეტი გაცდენის შემთხვევაში მსმენელის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე სამსახურეობრივი ბარათი წარმოდგენილი იქნეს ფსიქოლოგიის მიმართულების კოორდინატორის მიერ.
5. ფსიქოლოგიის მიმართულების კოორდინატორს დაევალოს: მსმენელებთან შესაბამისი ხელშეკრულებების გაფორმება (რომელშიც უნდა აისახოს სწავლის საფასურის გადახდის წინამდებარე ბრძანებით დადგენილი ვადა), მათი ჩარიცხვისა და პერსონალის მოწვევის შესახებ სამართლებრივი აქტების პროექტების წარმოდგენა; მსმენელთან გაფორმებულ ხელშეკრულებათა აღრიცხვის ჟურნალის წარმოება; სასწავლო პროცესის დაწყებისა და მსმენელთა მიერ ამ ბრძანებით დადგენილ ვადებში საფასურის გადახდის შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა და პროგრამის/მოდულის დასრულების შემდეგ საბოლოო ანგარიშის (მათ შორის ფინანსური მდგომარეობის ამსახველი) წარმოდგენა, ასევე ბსუ-ს უწყვეტი განათლების ცენტრის და ფსიქოლოგიის კლინიკის დებულებით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების განხორციელება.
6. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს: საფინასო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს და ბსუ-ს უწყვეტი განათლების ცენტრის ფსიქოლოგიის მიმართულების კოორდინატორს.
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მ/შ გ. გვარიშვილი